

ხაყანი შირვანელის პოეზიის ზოგი ასპექტის
შესახებ: ქართული რეალიები

ON SOME ASPECTS OF KHAQANI SHIRVANI'S POETRY:
GEORGIAN REALIA

მანანა კვაჭაძე
Manana Kvachadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: შირვანი (შარვანი), ხაყანი, ქართული,
რეალიები.

Keywords: Shirvan(Sharvan), Khaqani, Georgian, realia

საქართველოს მეზობლად, ახლანდელი აზერბაიჯანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მდებარე ისტორიული ქვეყნის, შირვანის (შარვანის), კულტურულმა ცხოვრებამ XII საუკუნეში მნიშვნელოვან აღმავლობას მიაღწია: განვითარდა ქალაქები და საქალაქო ცხოვრება; საქართველოს სიუზერენობით გამოცოცხლდა მრავალმხრივი და მჭიდრო ურთიერთობანი; შირვანშაჰების კარზე ჩამოყალიბდა სერიოზული სპარსულენოვანი ლიტერატურული სკოლა. სასახლეში თავმოყრილ პანეგირისტთა შესხმა-ოდებში იკითხება შირვანშაჰთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მრავალი ისტორიული ცნობა; აქვე იხატება ნათელი სურათი კარის პოეტთა როლისა და ხვედრის შესახებ.

ამ სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელია ხაყანი – შირვანშაჰთა კარის პოეტი. ხაყანი შირვანელს მეხოტბე პოეტის მძიმე ხვედრი ერგო. მის შემოქმედებაში არის სასახლი სკარის ლირიკაცა და ციხის ელეგიებიც, სოფლის სამდურავიც, სუფი პოეტის ფილოსოფიური ჭვრეტაც. ხაყანის ყასიდები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, მუსიკალობით, ფორმის სირთულით; გადატვირთულია ფილოსოფიური ტერმინებით, რიტორიკული ფიგურებით, ისტორიული და ლიტერატურული რემინისცენციებითა და მინიშნებებით; ჩანს მისი განსწავლულობა რელიგიის, კერძოდ, ქრისტიანული თეოლოგიის სფეროში.

ცნობილია, რომ ხაყანი დედით ქრისტიანულ წრეებს უკავშირდებოდა და კარგად იცნობდა ქრისტიანულ სამყაროს. იგი კარგად იცნობდა საქართველოს, იცოდა ქართული ენა, მიმოწერა ჰქონდა ქართველ მოღვაწეებთან; პოეტის ლექსებსა და პირად წერილებში ასახულია მისი კონტაქტები საქართველოს სამეფო კართან, იგი ხშირად ახსენებს ბაგრატიონთა წარმომადგენლებს, მათ რეზიდენციებს; გვხვდება ქართული ტოპონიმები, ეთნონიმები, ქართულ კულტურასთან დაკავშირებული ტერმინები; ზოგჯერ ტექსტში ჩართულია ქართული სიტყვები და გამოთქმები, რომელნიც გართმულია სპარსულ სიტყვებთან, რაც მეტად შთამბეჭდავ პოეტურ ეფექტს ქმნის. ქართულ რეალიებთან დაკავშირებულ საკითხთა გათვალისწინების გარეშე ძალზე რთულია, ზოგჯერ კი – შეუძლებელიც ხაყანის ტექსტის წაკითხვა.

ქართულ სამეცნიერო და მთარგმნელობით ლიტერატურაში აღნიშნულ პრობლემებს სათანადო ყურადღება ექცეოდა ყოველთვის, და ახლა, ქრისტიანულ და მუსლიმურ სამყაროთა კულტურული ურთიერთობისადმი გაძლიერებული ინტერესის ფონზე ხაყანის შემოქმედება კიდევ უფრო შთამბეჭდავად წარმოგვიდგება.

ლიტერატურა:

- ბელარტი, ა.ლ.** – Beelaert A. L. (2012). Kāqāni Šervāni. Encyclopedia Iranica, vol. XV, pp. 521-529.
- კობიძე, დ.** (1975). ხაყანი. სპარსული ლიტერატურის ისტორია, 237-240, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- მარი, ი., ჩაიკინი, კ.** – Marr, Yu., Chaikin, K., (1935). Khaqani-Nezami-Rustaveli, I, M.-L: Izdatelstvo Akademii Nauk SSSR.
- მარი, ი., ჩაიკინი, კ.** – Marr, Yu. Chaikin, K., (1966). Khaqani-Nezami-Rustaveli, II, Tbilisi: Metsniereba.
- ნუცუბიძე, შ.** – Nutsubidze Sh. (1947, 1967), Rustaveli i vostochni renessans [Rustaveli and The Oriental Renaissance], 303-323. Tbilisi, Izdatelstvo “Zarya Vostoka”.

The cultural life of Shirvan (Sharvan), Georgia's neighbouring country located in the northeastern part of present Azerbaijan achieved significant development in the 12th century. Both towns and town lifestyles developed; in conditions of Georgia's suzerainty, diverse relations were established. A significant Persian-language literary school was formed at the royal court of Shirvanshahs. The odes and eulogies composed by the royal panegyric poets provide ample historical data regarding the lives and activities of Shirvanshahs. Those literary works also provide information about the roles and fates of the royal poets.

An outstanding representative of this school is Khaqani – Shirvanshahs' court poet and panegyrist. Khaqani got a heavy destiny of a panegyrist poet. His creative work includes both – court lyrics and prison elegies.

Khaqani's poetry is interesting from diverse points of view. His poetry is distinguished by diversity, musicality, and complexity of form; it is rich in

philosophical terms, rhetoric figures, historical and literary reminiscences, and hints. He reveals his erudition; he appears to have a profound knowledge of religion, especially of Christian theology.

As it is known, on his mother's side Khaqani was related to the Christian community and he was well-acquainted with this world. He knew Georgia quite well, he knew the Georgian language and corresponded with Georgian nobility. The poet often mentions representatives of the Georgian royal dynasty – the Bagrationi and their residences. Georgian toponyms, ethnonyms, and terms related to Georgian culture are also frequent. In certain cases, the texts include Georgian words and expressions that are rhymed with Persian words and thus create an impressive poetic effect. Sometimes it is difficult – even impossible – to comprehend Khaqani's texts without considering the Georgian realia. Georgian scholarly literature and translation practice has always treated the above-mentioned problems with due attention and now with the increased interest toward Christian-Muslim relations Khaqani's work is even more impressive.

References:

- Beelaert, A. L.** (2012), *Ḳāqāni Šervāni*. *Encyclopedia Iranica*, vol. XV, pp. 521-529
- Kobidze, D.** (1975), Khaqani. *Sparsuli Literaturis Istoria* [History of Persian Literature], 237-240. Tbilisi: Tbilisi University Press.
- Marr, Yu., Chaikin, K.** (1935), *Khaqani-Nezami-Rustaveli*, I, M.-L.: Publishing House of Academy of Sciences of USSR.
- Marr, Yu. Chaikin, K.** (1966), *Khaqani-Nezami-Rustaveli*, II, Tbilisi: "Metsniereba".
- Nutsudize, Sh.** (1947, 1967), *Rustaveli i Vostochni Renessans* [Rustaveli and The Oriental Renaissance]. Tbilisi: Publishing House "Zarya Vostoka".